726 ა/8492

ცისკარი


უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 15 (320) გამოცემის მე-17 წელი

1973 წლის აგვისტო

საქართველოს მარგალიტი — აჭარა იწვევს, შავი ზღვა ელოდება, გათშმი სიხარულს სთავაზობს

ყველა მოკეთეს!



სანატორიუმი „აჭარა“

ქშმარიტად მარგალიტივით ბრწყინავს საქართველოს სიამაყე, შავი ზღვის მშვენების გვირგვინი, ქარ-თული ნარინჯისა და ევკალიპტის, ლიმონისა და მანდარინის სამშობლო, აჭარელი გლეხისა და მუშის, სწავლულისა და ჭაბუკის დედა-მშობელი, სილამაზით საქვეყნოდ განთქმული აჭარა მისი სამოთხის კუთხეებით, კაცის ხელით ნაგები, მოვლილი და დამშვენებული კურორტებით — ბათუმით, მახინჯაურით, ციხისძირით, ქობულეთით...

არ არის ქვეყნად ბუნების მადლი და სილამაზე, რომელიც აქაურ მკვიდრს საგულდაგულოდ არ მოეხვავებინოს. საქართველოს ამ ნეტარ კუთხეში ადამიანის სიკეთისა და ბედნიერების სამსახურად — ზღვას, მთას, ყვავილს, ნარგავს, მცენარესა და ადამიანის გამრჯე მარჯვენას ყველაფერი გაუკეთებია იმისათვის, რომ ამონ, ასიამოვნონ, მადა და ჯანი შეპატონ ქვეყნად მაშვრალ ყველა ადამიანს, დიდსა და პატარას, გაუხანგრძლივონ სიცოცხლე და სიხარული იმ დიდი სიკეთით, რაც ქვეყნად აჭარად არის დაბრუნებული.

აჭარაზე ბევრი უწერიათ, ბევრზე ბევრს წერენ საბჭოთა განახლებულ აჭარაზე, უფრო მეტს დასწერენ მომავალი თაობები. დღეს კი, როცა აგვისტოს გაგანია დღეებია და შავი ზღვა თავისი ხავერდოვნებითა და ლაჟვარდით დედაშვილურად იხუტებს ჩვენი დიადი სამშობლოს მკვიდრსა და მის მონაგარს, უცხო ქვეყნებიდან ჩამოსულ ადამიანებს, გვინდა ჩვენეული მოკრძალებული სიტყვა ჩამოვაგდოთ ამ ნეტარი კუთხის დასვენებისა და განცხრომის ზოგიერთ კერაზე.

მორიდებით გავუზიაროთ ჩვენს მკითხველს ის სიხარული და სიკეთე, რასაც უხვად არიგებენ ბათუმი, მწვანე კონცხი, ქობულეთი, მახინჯაური, ციხისძირი... მორიდებით, რადგან აჭარული კურორტების ყველა სიკეთის სრულად სათქმელად არც სიტყვა გვეყოფა, არც ძალა და არც კალმის მადლი...

განახლებული აჭარის მგზავრ კურორტებზე

„მზიური“

ბათუმს ზედ ეკვრის ეს პანსიონატი და პოეტური სახელიც ტყუილად როდი დაურქმევიათ.

ოცდაათიან წლებში აქ პატარა აგარაკი ყოფილა. მერე აუგიათ პანსიონატის ეს დიდებული შენობა. 260 ადამიანი ისვენებს ერთდროულად პანსიონატში. დიდი საბჭოთა კავშირის რომელი კუთხიდან არ ჩამოსულან ცოლ-ქმარნი, დედა-შვილნი, დაძმანი, მეგობრები.

პანსიონატის დირექტორმა ვლადიმერ გოგიჩაიშვილმა გვითხრა, რომ „მზიური“ განსაკუთრებით მოსახერხებელია მშობლებისთვის — თავისი საგზურით შეუძლიათ ჩამოიყვანონ შვილი 4-დან 16 წლის ასაკამდე.

პანსიონატში ჩინებული სისუფთავეა, ყუათიანი კვება, დიდი ყურადღებით ეკიდებიან მოაგარაკეთა გართობა-დასვენებას. თუმცა სჯობს ამის შესახებ თვითონ დამსვენებლები ვალაპარაკოთ:

- ცოლ-ქმარი ლამარა და ჯემალ სალიაშვილები: „თბილისელები ვართ, ბავშვებით ჩამოვედით. „მზიურში“ პირველად შარშანწინ ვიყავით, ძალიან მოგვეწონა. შარშან არ მოგვიწია ჯავშნის ყიდვა, ისე ადვილად ვიშოვეთ. ახლა ისევ ჩამოვედით. ბავშვებს ძალიან მოსწონთ აქაურობა. ჩვენ ორნი ვიცურავებთ, ბავშვები ნაპირთან ახლოს ბანაობენ. ბათუმში ბევრი ვიარეთ, ბევრი ვიხილეთ, ბევრი ვიყიდეთ. ბათუმი ძალიან მოგვწონს. ბაღები, ქუჩები, ხეივნები, ყველაფერი ლამაზად მოვლილი, დალაგებული. ბათუმის ბაღებში ხომ ყველა ხეს თავისი ადგილი აქვს. ეს ხეები ხომ ჩვენ ვნახეთ ბოტანიკურ ბაღში, ეს ხეები ხომ ჩვენ ვნახეთ ბათუმის ბაღებში

გაბაჯლებული აჭარის მზიური კურორტებზე

დასასრული

კის დამსახურებული ექიმი, რომლის მუყაით მუშაობაზე და მცდელობაზე დამოკიდებულია ბევრი რამ კარგი, რითაც საქვეყნოდ გაითქვა სახელი სანატორიუმმა. აქ წლიურად ხუთი ათასზე მეტი ადამიანი ისვენებს და მკურნალობს.

„აჭარაში“ ყოველთვიურად ჩამოდიან მშრომელები საქართველოს ქალაქებიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან და ტაჯიკეთიდან, ურალიდან და შორეული აღმოსავლეთიდან, ჩამოდიან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა მხარისა და ეროვნების ადამიანები. თუ როგორ ზრუნავენ მათს დასვენებაზე და ჯანმრთელობაზე სანატორიუმში, ამის შესახებ კარგად ლაპარაკობს პირველი კორპუსის პირველ სართულზე მოწყობილი სპეციალური გამოფენა იმ ჯილდოებისა და სიგელებისა, რომლებიც დაუმსახურებია „აჭარის“ კოლექტივს კარგი შრომისათვის.

„მეცნიერება“

დასასვენებელი სახლი „მეცნიერება“ ციხისძირშია. ამ აგარაკს საუკუნახევრის ისტორია აქვს. 1898 წელს აქ ჩამოსულა რუსი გენერალი პომორსკი, შეუსწავლია აქაურობა, როგორც საკურორტო ადგილი. გენერალს ციხისძირი მოსწონებია და ნათესავ-მეგობრებიც მოუპატიჟებია — აგარაკები ააშენებო.

ვიღას არ ერგო მაშინ აქაური მიწები, ციხისძირში ჰქონიათ საკუთარი ვილები რუს თავადებსა და გენერლებს. მათ შორის ყოფილა პოლონელი თავადი სკორჟინსკიც. იგი სარკინიგზო გზების დიდი სპეციალისტი ყოფილა, გაუყვანია რკინიგზები დასავლეთ საქართველოში, მათ შორის სამტრედიიდან ბათუმამდე. თავადი თურმე ბევრს მოგზაურობდა საზღვარგარეთ, საფრანგეთში და იტალიაში ნახა ზღვისპირა ვილები და ერთერთი იმგვარი ააგო ციხისძირში.

მერე ეს დიდებული აგარაკი ბანქოში წააგო ვინმე ანანოვთან, მაგრამ ამქვეყნიური უკუღმართობით გალაღებულებს აღარ დასცალდათ. მოხდა ოქტომბრის რევოლუცია, რომელსაც სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად მოჰყვა ლენინის ცნობილი დეკრეტი: კერძო აგარაკების მუშათა კლასისათვის გადაცემის შესახებ. მას შემდეგ ეს სახლი გადაეცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს — ამიტომაც დაერქვა აგარაკს „მეცნიერება“.

გემოვნება ნამდვილად კარგი ჰქონია თავად სკორჟინსკის — მართალია მისეული აგარაკიდან ბევრი აღარაფერი დარჩენილა, მაგრამ ადგილი კი დიდებული შეურჩევია. დასასვენებელი სახლი აუშენებია კლდეზე, რომელიც ბარე 30 მეტრის სიმაღლიდან დაჰყურებს ზღვას. აქედან კენჭი პირდაპირ რომ ჩააგდო, ზღვის ტალღებში ჩაიკარგება, ტალღები კი ასკდება ნაპირს. მარცხნივ პლიაჟია, მარჯვნივ — კლდეები გამოქვაბულებით. დიდებული სანახავია! ძალიან ბევრი ფილმი, რომელიც ზღვასთან იყო დაკავშირებული, სწორედ აქ გადაუღიათ. მათ შორის „კაპიტან გრანტის შვილები“, „ჩვენ კრონშტადტიდან ვართ“, „რობინზონ კრუზო“, „ადამიანი-ამფიბია“, „ლოკერი“, „დედამიწა მოკითხვამდე“ და მრავალი სხვა.

გავესაუბრე დამსვენებლებს, ცოლქმარ ეკატერინე და ალექსანდრე ფეოდოროვებს, რომლებიც აქ ქალაქ რიბინსკიდან ჩამოსულან. გავესაუბრე თბილისელ მოსწავლეებს, დებს თამარსა და მარიკა სუპატაშვილებს, რომლებიც დედასთან ერთად ისვენებენ. ვესაუბრე აგრეთვე ბალტიისპირელ, დაღესტნელ მოაგარაკეებს. ყველანი მადლიერების გრძნობით ლაპარაკობენ დასასვენებელი სახლის თანამშრომლებზე, აღფრთოვანებულნი არიან აჭარის მიწა-წყლით.

„ქობულეთში“

სახელწოდება თავად ლაპარაკობს რომ ეს სანატორიუმი ქობულეთშია. აი რა გვიამბო სანატორიუმის მთავარმა ექიმმა მიხეილ ბოკუჩავამ.

— სანატორიუმი „ქობულეთი“ სამკურნალო დანიშნულებისაა: ჩვენთან ძირითადად ისვენებენ ადამიანები, რომლებსაც დაავადებული აქვთ გულ-სისხლძარღვთა სისტემა. სანატორიუმს 180-ზე მეტი ადამიანი ემსახურება. მათ შორის არიან ექიმები, ექთანები, მომვლელები, მზარეულები, კულტმუშაკები.

დიდ ყურადღებას ვუთმობთ სანატორიუმის სისუფთავესა და დამსვენებელთა კვებას. კვება დღეში ხუთჯერადია. ადამიანები ისვენებენ და მკურნალობენ კიდეც, ჩვენ კი ვცდილობთ კარგად დავასვენოთ და აღვუდგინოთ ჯანმრთელობა.

ჩავიხედე სანატორიუმის შთაბეჭდილებების წიგნში. აქ კარგის მეტი ვერაფერი ამოვიკითხე. მშრომელები აღფრთოვანებული არიან ქობულეთით და სანატორიუმის კეთილი თანამშრომლებით.

„ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვედით ქობულეთში, ერთნი თბილისიდან, სხვანი კამჩატკიდან, მოსკოვიდან, მაგრამ ყველას ერთი დიდი სურვილი გვაქვს. გუთხრათ დიდი, ძალიან დიდი მადლობა ექიმებს ნათელა ელიაძეს, ლია ტულუშს, მედდებს ეთერ ურიდიას, ნინო ვერულიძეს, ყველას, ყველას და მათთან ერთად სანატორიუმის მთავარ ექიმს მიხეილ ბოკუჩავას. ჩვენი გულითადი მადლობა თქვენგან გაღებული მადლის სამაგიეროა. თქვენ ხომ ჩვენს ჯანმრთელობაზე გულით ზრუნავდით!“ ამ ბარათს რამდენიმე ადამიანი აწერს ხელს. მათ შორის გაზეთ „პრავდის“ თანამშრომელი ოლგა იულანოვა.


„ქობულეთის“ თანამშრომლებს ემადლიერებიან ძალიან ბევრნი. ემადლიერებიან ერთი ადვილად გასაგები, მაგრამ ფრიად საყურადღებო მიზეზის გამო — „თქვენი სურვილია, რომ ჩვენ ვიყოთ ჯანმრთელები და ბედნიერები“. დამსვენებლები მადლიერებით ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, თუ როგორ კარგად ისვენებენ და შინაარსიანად ერთობიან — აქვთ საინტერესო ექსკურსიები, როგორც საავტომობილო გზებით, ისევე ზღვით, ყოველდღიურად ნახულობენ ახალ ფილმებს, უსმენენ მათთან სტუმრად ჩამოსულ ცნობილ საესტრადო ანსამბლებს. აჭარაში საზაფხულო საოგარაკო დღეებია. პროფკავშირთა კურორტების მართვის აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ვახტანგ ახვლედიანმა გვითხრა, რომ აჭარაში მხოლოდ საგზურებით წლიურად 50 ათასზე მეტი ადამიანი ისვენებს. ამათ დაუმატეთ 70 ათასზე მეტი ოჯახებით ჩამოსულებიც და მივიღებთ აჭარის ყოველწლიურ დამსვენებელთა სოლიდურ ციფრს.

რა გაზეთი დაიტევს აჭარის კურორტების სიკეთის, აქაური ადამიანების მადლმოსილი შრომის აღწერას!

აჭარის შავი ზღვა კი დიდებულად იტევს ყველა კეთილი ნების ადამიანს, ჭეშმარიტად მარგალიტივით ბრწყინავს. მათი სულისა და გულის საამებლად მზიანი დღეები ერთი-მეორეს ენაცვლებიან და თითოეული მათგანი სამარადჟამოდ ამახსოვრდება ჩვენი ქვეყნისა თუ უცხოეთიდან ჩამოსულ ათეულ ათასობით ადამიანს.

ჯემალ ქურხული,


ბათუმი-ციხისძირი-ქობულეთი.



ბავშვი და ზღვა...



ზღვა და სიყვარული



აჭარის ზღვისპირეთი

1959 წლის შემოდგომის ერთ წყნარ დღეს ბათუმში, 31 დეკემბრის ქუჩაზე მცხოვრები ალექსანდრა და პეტრე ფირცხალავების ოჯახში უცხოურად ნაწერი წერილი მოვიდა. ნაწერი იყო უცხო, თორემ თვითონ ბარათი რაღაც ახლობელი და მშობლიური ჩანდა. იგრძნობოდა, დიდი სათბო უნდა მოჰყოლოდა მას. და მართლაც, სულ რამდენიმე წუთში მთელმა ქუჩამ შეიტყო, რომ ფირცხალავებმა დიდიხნის გამოტირებული შვილი იპოვეს და სიხარულით გაოგნებული მშობლები მეზობლებთან, მეგობრებთან, ნათესავებთან ერთად ღვრიდნენ სიხარულის ცრემლს. შვილი გაგვიცოცხლდაო, სიხარულით ლამის ცას ეწივნენ მოხუცები და სახელდახელოდ გაშლილ სუფრაზე ეპატიჟებოდნენ მათი ლხინის მოზიარეთ... იმავე ღამეს დასავლეთ გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში ბედნიერმა მამამ შვილს — კარლო ფირცხალავას წერილი გაუგზავნა და ახლობლების — დედის, დების, მოკეთეების ჯანმრთელობა და კარგად ყოფნა აუწყა...


...კარლო ფირცხალავას ომის დამთავრებამ ამერიკელთა მიერ ოკუპირებულ ზონაში მოუსწრო. ახალგაზრდა კაცი ადვილად მიენდო იქაური პრესისა და რადიოს მონაჩმახს — ტყვედ ნამყოფს სამშობლოში სიფათი ელისო და უკან აღარ დაბრუნებულა...

მძიმეა სამშობლოს, საკუთარ კერას მოწყვეტილი კაცის ბედი. არავინ გეგულება ისეთი, შენი ჭირ-ვარამი გაიზიაროს, ალერსიანი სიტყვა გითხრას, გაბუგეშოს. აქ შენთვის უცხოა ცაც და მიწაც, მთაც და ბარიც...

უჭირდა ქართველ კაცს უცხოეთში ყოფნა, არ ასვენებდა მიწის ყივილი... კარლო ფირცხალავა უცხოეთში ოჯახსაც მოეკიდა, მაგრამ გულის ტკივილი ვერც შვილების — ტანიას, ალიოშასა და თამარის დაბადებამ მოუშუშა. ბავშვები საქართველოში უნდა იზრდებოდნენ, ქართულ ადათ-წესებზეო, ფიქრობდა იგი და გული ტკივილით ექუმშებოდა. არა და, ვერც ბარათის გაშოგზავნას ბედავდა საქართველოში, ახლობლები ცოცხალი აღარ ეგულებოდა, ისიც აშინებდა, ვაი თუ ჩემი გამოწერით მათ რაიმე ზიანი მივაყენოო...



სტუმრად... საქართველოში



სამშობლოზე ფიქრით გულამღვრეულს ისევ მეუღლე დაედო მტლად. ტყუილად კი არ აურჩევია იუტა მეგობრად — ქალმა თავისი ქალური ალღოთი იგრძნო სამშობლოს მოწყვეტილი კაცის გულისტკივილი და მეუღლის ნაშალავად საქართველოში, მის მშობლებთან წერილი აფრინა — კარლო ცოცხალია და თქვენი დარდი არ ასვენებსო.

სწორედ ეს პატარა წერილი იყო, უზარმაზარი სიხარული რომ მოუტანა ფირცხალავების ოჯახს...

მამის წერილმა კარლოს სამშობლოში წამოსვლა გადააწყვეტინა, მაგრამ... მაგრამ ეჭვის მოკვლა ძოლი როდი აღმოჩნდა. იყვნენ ადამიანები, ისევ და ისევ რომ ამღვრევდნენ მის წმინდა ფიქრებს... მხოლოდ რამდენიმე წერილის შემდეგ თითქოს ოდნავ დარწმუნდა, საქართველოში საფრთხე არ მოშელისო...

— რაღა დაგიმალოთ და, ეჭვები არ მასვენებდა, როცა სამშობლოში მოვდიოდი, — თქვა კარლომ 34 წლის განშორების შემდეგ, — არ მჯეროდა, ასეთი გულითადობით თუ მიმიღებდა მშობლიური მიწა, გულში ჩამიკრავდა ნაცნობი თუ უცნობი. განსაკუთრებულ მზრუნველობასა და ყურადღებას ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობ. კიდევ და კიდევ ვრწმუნდები, რა დიდი ფასი აქვს ადამიანს ჩემს ქვეყანაში, საქართველოში ყოფნამ ნათლად დამანახვა, რა დიდ წარმატებებს მიაღწია საბჭოთა ხალხმა, რა დიდია ჩემი ქვეყნის შეშოქმედებითი შესაძლებლობანი.

საქართველოში ყოფნა ზღაპარს მაგონებს, ლამაზ ზღაპარს. რა შეძლებულად, მდიდრულად, ლამაზად ცხოვრობს აქ მშრომელი კაცი! რა ბედნიერია იგი, როცა იცის, რომ თვითონ არის ამ მიწის, ამ ცის ბატონ-პატრონი. ეს გრძნობა მე უცხო ქვეყანაში დავკარგე და ამით ჩემს სულს მოუშუშებელი ჭრილობა მივაყენე...

დღეს ისეთი გრძნობა მაქვს, მეორედ დავიბადე თითქოს, ჩემს მშობლიურ მიწაზე ფესვები ხელმეორედ გავუშვი... არა, მშობლიურ მიწასთან განშორება ვეღარ წარმომიდგენია!.. იცოდეს ყველამ, ვინც აყოლია მონაჩმახ ჭორებს საქართველოზე, რა ღრმად ცდებიან! ჩამოვიდნენ ამ აყვავებულ მიწაზე, ნახონ საბჭოთა საქართველო, ბედნიერი აჭარა, საყვარელი ბათუმი!

გრიგოლ შარაშიძე,

მიხეილ მშვიდობაძე.

სურათზე: კარლო ფირცხალავა (მარცხნიდან მესამე) მშობლებსა და ახლობლებს შორის.

ძმობა, მეგობრობა, ერთობა!

ამ დევიზით 28 ივლისს ბერლინში გაიხსნა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა X მსოფლიო ფესტივალი, რომლის კეთილშობილური მიზანს შეადგენს ემსახუროს მშვიდობისათვის ბრძოლასა და მეგობრობას, დააახლოოს ერთმანეთთან ხუთივე კონტინენტის ახალგაზრდობა.

სწორედ ამ სულისკვეთებით შეიკრიბა 135 ქვეყნის 20 ათასზე მეტი წარმომადგენელი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ეს იყო უაღრესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ფორუმი. მოეწყო სხვადასხვა სახის 500 ღონისძიება. ფესტივალი არ იყო შეზღუდული პროგრამის ჩარჩოებით. მისი სტუმრები ფართოდ მონაწილეობდნენ არაოფიციალურ დისკუსიებში, სპორტულ და მხატვრულ ღონისძიებებში.

ახალგაზრდობის ამ გრანდიოზულ ფორუმზე, შესაფერისად წარსდგნენ საბჭოთა ქალიშვილები და ჭაბუკები. მილიონობით საბჭოთა ახალგაზრდობის ღირსეული წარმომადგენლები სახელოვნად დგანან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის წარგზავნილთა გვერდით, მათთან ერთად უდიდესი წვლილი შეაქვთ ხალხთა დამეგობრების, დაახლოებისა და სოლიდარობის საქმეში.

დიდ თავყრილობას წინ უძღოდა საკავშირო ფესტივალი, რომელმაც კიდევ ერთხელ გამოავლინა ჩვენი ახალგაზრდების საუკეთესო თვისებები, მათი შემართება და მზადყოფნა დიადი მიზნებისათვის ბრძოლაში. ფესტივალის მონაწილეებმა ბევრი პატრიოტული საქმე ითავეს. მხარდაჭერა და მოწონება ჰპოვეს ისეთმა თაოსნობებმა, როგორიც არის „ხუთწლედი — ოთხ წელიწადში“, „გუშინ ნოვატორის მიჯნა — დღეს კომკავშირული ნორმა“, გოგონები და ჭაბუკები აქტიურად ჩაებნენ მოძრაობაში „ხუთწლედს — ახალგაზრდობის დამკვრელური შრომა, ოსტატობა და ძიება“.

რვა მილიონზე მეტმა კომკავშირელმა მიიღო მონაწილეობა საშეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების სრულიად საკავშირო დათვალიერებაში. მათ 600 ათასი რაციონალიზატორული წინადადება შეიტანეს. კარგი შედეგები მოგვცეს ახალგაზრდობის მხატვრულმა შემოქმედებამ, ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოსადმი, კომკავშირისადმი მიძღვნილმა თემატურმა საღამოებმა.

სამახსოვრო იყო საკავშირო ფესტივალის დასკვნითი ზეიმი, რომელიც ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში გაიმართა. „დინამოს“ სტადიონი იქცა ახალგაზრდობის ზეიმის ჭეშმარიტ ასპარეზად.

შემოქმედებითი შრომისა და პარტიის საქმისადმი ერთგულების შესანიშნავ მაგალითებს იძლეოდნენ ქართველი ქალიშვილები და ჭაბუკები, სწორედ ამათ შეავსეს ჩვენი რესპუბლიკის დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ყიული შარტავა. ფესტივალში მონაწილეობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ტყვარჩელელი გვირაბგამყვანი ანატოლ ციბა, რუსთაველი მეფოლადე სერგო ბაქრაძე, თბილისელი მეექსკავატორე მამული მამულაშვილი, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გიორგი იაშვილი, ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტის თავმჯდომარე ვაჟა შუბლაძე, სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი ალექსანდრე იოსელიანი, № 1 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი ელენე ხვედელიძე, ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ოთარ შენგელაია, გორელი კოლმეურნე თინათინ ჭალაბაძე, ჭუთაისელი მუშა გურამ ცაავა, ჭუთაისის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ბუხუტი დარახველიძის ხელმძღვანელობით.

ბერლინის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა X მსოფლიო ფესტივალზე განსაკუთრებული გულთბილობით შეხვდნენ საბჭოთა ქვეყნის წარგზავნილებს, გვიან ღამემდე არ იკეტებოდა გერმანიასსრ კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური სახლის კარი უნტერ-დენ ლინდენის ქუჩაზე, სადაც ბინა ედო საბჭოთა დელეგაციის კლუბს. გაუთავებლად მოდიოდნენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, რომელთაც ერთნაირი სურვილი ჰქონდათ — ახლოს გაეცნოთ ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდები, ემეგობრათ მათთან.

საბჭოთა დელეგაციის წევრებმა წარმატებით შეასრულეს თავიანთი კეთილშობილური მისია. ფესტივალის ღონისძიებებზე—იქნებოდა ეს პოლიტიკური, მხატვრული თუ სპორტული — უყველგან ტონის მიმცემნი იყვნენ. მათ გამოჩენას დიდი სიხარულით ხვდებოდნენ სტუმრები და მასპინძლები. ახალგაზრდობის ამ დიდ ფორუმზე საუოველთაო სიყვარული მოიპოვა ჭუთაისის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლმა. ცეკვლი დაათვალიერეს ჭუთათურმა მოცეკვავეებმა ბერლინის ჭუჩებსა და საკონცერტო დარბაზებში. მილიონობით ტელემაყურებელმა ციხფერი ეკრანიდან ნახა, როგორი წარმატებით წარსდგნენ ისინი საღამოზე, რომელიც მთლიანად საბჭოთა ხელოვნებას დაეთმო. ბევრი ახალი მეგობარი შეიძინეს ქართველმა გოგონებმა და ჭაბუკებმა. ბერლინში დაწყებული ურთიერთობა კვლავაც გაგრძელდება და იგი უთუოდ კეთილ ნაყოფს გამოიღებს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში 9 დღეს ლაღად ფრიალებდა ფესტივალის ალამი. ხუთივე კონტინენტის ახალგაზრდებს ერთი ფიქრი, ერთი ოცნება ამოძრავებდათ — იყოს დედამიწაზე მშვიდობა და მეგობრობა.

ჩარიცა მამისეიშვილი.



ქართველი მოცეკვავეები ბერლინის ფესტივალზე

საინტერესო მოგონება

„საბჭოთა საქართველოს“ გამოსცა აკადემიკოს კონსტანტინე ერისთავის საინტერესო წიგნი „მოგონება“. ავტორი ლაკონიურად და ცოცხლად უამბობს მკითხველებს ბევრ ღირსშესანიშნავ ამბავს წარსულიდან.

აკადემიკოს კონსტანტინე ერისთავის ამ მემუარულ წიგნს ელოდა ექიმთა მთელი საზოგადოებრიობა, რადგან უველასათვის ცნობილია, რომ კონსტანტინე ერისთავმა განვლო ცხოვრების დიდი გზა, რომელიც ია-ვარდით როდი იყო ფენილი. მოღვაწეობა სამხედრო ექიმობით დაიწყო და აკადემიკოსობას მიაღწია, დაიმსახურა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება.

1941 წელს, როცა ფაშისტური გერმანია თავს დაესხა საბჭოთა ქვეყანას, საქართველოს სამხედრო გზით თბილისში ფეხით ჩამოვიდა სხვადასხვა ქალაქიდან გადმოხვეწილი სტუდენტ-მედიკოსთა დიდი ჯგუფი. როცა კონსტანტინე ერისთავმა ეს შეიტყო, მაშინვე მათ შესახვედრად გაეშურა. შემდგომში უველა მათგანს შეუქმნა ცხოვრების, სწავლისა და მუშაობის ნორმალური პირობები. ხალხისადმი სიყვარულს ხალხი სიყვარულითვე უპასუხებდა. ამ გზით შეძლო დიდმა მეცნიერმა და ჰუმანისტმა, საყოველთაოდ აღიარებულმა დასტაქარმა საზოგადოების ნდობისა და სიყვარულის მოპოვება. იგი არაერთხელ აურჩევიათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

თუ მეხსიერება არ მღალატობს, ეს იყო 1929 წლის ოქტომბერი, კონსტანტინე ერისთავი ბათუმში გამოიძახეს თურქეთის კონსულის მეუღლის ავადმყოფობის გამო. პაციენტი მოთავსებული იყო ქალაქის საავადმყოფოში. კონსტანტინე ერისთავს თბილისიდან ამ სტრიქონების ავტორი ჩაყვა. ჩვენთან ერთად კონსილიუმს ეწერებოდნენ იმ დროის ბათუმელი ცნობილი ექიმები, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ა. ფროლოვი, პ. გიგინეიშვილი, ვ. მაჭაცარია და სხვები.

კონსტანტინე ერისთავმა ჩვეული ოსტატობით გაუკეთა ავადმყოფს კუჭის რთული ოპერაცია, რის დამთავრების შემდეგ მას გამოუცხადეს საკმაოდ დიდი თანხა პონორარის სახით. კონსტანტინე ერისთავმა ფული უკან დაბრუნა და დასძინა: უთხარით ავადმყოფის პატრონებს, რომ საბჭოთა საქართველოში მკურნალობისათვის ფულს არ ახდევინებენო.

ზ. თაქთაქიშვილი,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი.

ეკრანზე ესპანეთი

ესპანეთში მოგზაურობიდან დაბრუნდა საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის შემოქმედებითი ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი რეჟისორი გიორგი ასათიანი და ოპერატორი იური ბარამიძე. ისინი ორთვენახევრის მანძილზე იღებდნენ ფილმს სერვანტესისა და გოიას სამშობლოში.

— ესპანეთი, — თქვა გიორგი ასათიანმა, — სადაც საოცრად ერწყმის ერთმანეთს ევროპული კლასიკური არქიტექტურა და შუა საუკუნეთა არაბული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ნიმუშები, ყოველთვის საინტერესო გადასაღები ობიექტი იყო. მაგრამ ამჯერად მხოლოდ ეგზოტიკამ როდი მიგვიზიდა.

მაყურებლები ნახავენ, თუ როგორ ცხოვრობენ დღეს უბრალო ესპანელები — მუშები, მსვნელ-მთესველები, დოკერები.

„ესპანური მასალით“ შეიქმნება სამი ფერადი მხატვრული ფილმი. აქედან ერთი — სრულმეტრაჟიანი. სპეციალური ფირი ეძღვნება ბასკეთს, სადაც ქართველი ოპერატორები მთელ თვეს იყვნენ. ცნობილია ქართველებისა და ბასკების ერთგვარი მსგავსება. კერძოდ, ერთნაირია ენის აგებულება. სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და პირუტყვის მოვლა-პატრონობის ხერხები. სურათში აისახება ბასკური ხალხური ადათ-წესები, თამაშობანი და ცეკვები.

ქართული „მონეტები“

ქალრშია ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნით დათარიღებული კოლხური მონეტა. მასზე გამოსახულია მწოლიარე ლომი, იმავე მონეტის ზურგზე თვალსაჩინოდ ჩანს ხარისთავიანი მუსრმოდრეკილი ადამიანის ფიგურა. თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე საქართველო ამყოფებდა კულტურულ სამყაროში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენებისა და ამბების სფეროში.. თეთრ ფონზე ერთმანეთს ენაცვლებიან ახლად შემოსული ოქროს მონეტები... ჩვენმა მიწის წიაღმა მრავლად შეგვინახა წარსულის ეს უტყუარი მოწმეები.

სწორედ ძველ ქართულ მონეტებზე მოგვითხრობს ახალი სატელევიზიო ფერადი სამეცნიერო-პოპულარული მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ქართული მონეტები“, რომელსაც მალე იხილავს მაყურებელი ტელეეკრანებზე. სურათი ოთხ თავად არის დაყოფილი. იგი იწყება ანტიკური პერიოდიდან, მთავრდება გვიანი ფეოდალური ხანით. ფილმი შეიქმნა საქართველოს აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის დაკვეთით. მისი ავტორები არიან ცნობილი ქართველი ნუმიზმატიკოსი პროფესორი დავით კაპანაძე და რეჟისორი ვახტანგ გაგუა. სამწუხაროდ, მათ ვერ მოასწრეს ამ საქმის ბოლომდე მიყვანა. ფილმზე მუშაობა განაგრძეს რეჟისორ-დოკუმენტალისტის ვახტანგ გაგუას შვილებმა — რეჟისორმა მერაბ და ოპერატორმა მიხეილ გაგუებმა. კონსულტანტია სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების უფროსი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ვადიმ ლეჭვინაძე, მხატვარი — გივი კერვალიშვილი. ტექსტს კითხულობს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თენგიზ არჩვაძე.

ზაირა თოფურია

რეჟისორის გამარჯვება

შეჯამდა სსრ კავშირის დრამატურგიისა და თეატრალური ხელოვნების ფესტივალის შედეგები.

თოჯინების თეატრთაგან პირველი ხარისხის დიპლომი და ფულადი პრემია დაიმსახურა მოსკოვის თოჯინების თეატრმა, რომელმაც დადგა ვ. პალჩინსკაიტეს „დავეწევი ზაფხულს“. წარმოდგენა განახორციელა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ავქსენტი გამსახურდიამ.

საზაფხულო მარშრუტები

ზაფხული საესტრადო კოლექტივების დიდი გასტროლების პერიოდია და საქართველოს ფილარმონიის წარმომადგენლები ამჟამად ჩვენი ქვეყნის მრავალ რესპუბლიკაში გამოდიან. ვოკალურ-საკრავიერო ანსამბლი „ლალე“ ედუარდ სეფაშვილის ხელმძღვანელობით კიევის შემდეგ ყირიმს ესტუმრა და იქაურ დამსვენებლებს აცნობს თავის ხელოვნებას. ამჟამად იალტაში გამოდის ანსამბლი „სიმღერა თბილისზე“ მედეა ძიძიგურის მონაწილეობით. „სასიამოვნო შეხვედრების საღამო“ ეწოდება საესტრადო პროგრამას, რომელსაც ყაზახეთის ესტრადის მოყვარულნი უკვე გაეცნენ და დღეს უზბეკეთში გულთბილად იღებენ. ამ პროგრამაში სხვებთან ერთად ლილი გეგელია გამოდის.

სახელმწიფო საესტრადო ორკესტრი „რერო“ უკვე იყო სოხუმსა და სოჭში, ამჟამად ბათუმის სტუმარია.

ფილარმონია საინტერესოდ ემსახურება საქართველოს კურორტებზე ჩამოსულებს, საკოლმეურნეო მინდვრის მშრომელებს, რაიონებს. ვოკალურ-საკრავიერო ანსამბლი „ოვერია“ გაემგზავრა რესპუბლიკის რაიონებში საგასტროლოდ, 20 აგვისტოდან მას „ციცინათელაც“ მიემატება. ათი სექტემბრიდან „დიელო“ ხანგრძლივ ტურნეს გამართავს შუა აზიის რესპუბლიკებში.

რა გვჭირდა, რა გა

ნატახტარის წყალსადენი





ნატახტარის სათავის წყაროების პირველი საგამოკვლევო არტეზიული ჭა. 1926 წელი.



წუხლი ეროვნდა...

დღეს ჩვენი თაობა პატივისცემით იგონებს ქართველ ინჟინერთა იმ პირველი თაობის წარმომადგენლებს, რომელთაც ღვაწლი მიუძღვით ჩვენი დედაქალაქის — თბილისის წყალმომარაგების გაუმჯობესების საქმეში — მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ ლევან დიასამიძესა და ინჟინერ გიორგი ხიზანიშვილს, რომელთა ხელმძღვანელობით დამუშავდა ნატახტარის წყალსადენის პროექტი და მათივე ტექნიკური ხელმძღვანელობით მაღალხარისხოვნად განხორციელდა მისი მშენებლობა.

თბილისი 1933 წლამდე გასული საუკუნის 80-90 წლებში შექმნილი ავჭალის წყალსადენით ძარაგდებოდა. აქ დღე-ღამეში 8 ათასი კუბური მეტრი წყალი იწმინდებოდა. დაახლოებით ამდენივე ყამირი წყლის მოპოვება ხდებოდა გლდანის ხევში. ეს წყალსადენი დღესაც მუშაობს, მაგრამ როგორც დაბალი ხარისხის წყალი, გამოყენებულია ფაბრიკა-ქარხნების ტექნიკური საჭიროებისათვის.

1921 წელს თბილისს დღე-ღამეში 14 ათასი კუბური მეტრი წყალი ჰქონდა. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ცალკეულ უბნებში საერთო მოხმარების ონკანებით სარგებლობდა. ერთ სულ მოსახლეზე კომპლექსურად მიწოდებული წყლის რაოდენობა, რაშიც იგულისხმება ფაბრიკა-ქარხნებისა და ორგანიზაციების მიერ წყლის ხარჯვა დღე-ღამეში 61 ლიტრს შეადგენდა, ხოლო უშუალოდ ერთი მცხოვრებისათვის 28 ლიტრს უტოლდებოდა.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის წყალმომარაგების გაუმჯობესების საქმეში პირველი გამარჯვება იყო. 40 წლის წინათ ნატახტარის წყალსადენის პირველი რიგის ექსპლუატაციაში გაშვება. 1933 წლის 1 აგვისტოს თბილისელებმა მიიღეს დღე-ღამეში 45 ათასი კუბური მეტრი ნატახტარის წყაროების ანკარა წყალი. ნატახტარის წყალსადენი იყო იმ დროისათვის საქართველოში შექმნილი დიდი საინჟინრო ჰიდროტექნიკური ნაგებობა, თავისი მოცულობით მეორე ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის შემდეგ.

დამპროექტებელთა და მშენებელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს უნიკალური ნაგებობა ისე მაღალხარისხოვნად არის განხორციელებული, რომ მის მუშაობაში ამ ორმოცი წლის მანძილზე არც ერთ არსებით შეფერხებას არ ჰქონია ადგილი.

1937 წელს ხალხის სამსახურში ჩადგა ნატახტარის წყალსადენის მეორე რიგი, 1952-1954 წლებში — ბულაჩაურისა, 1958 წელს — საგურამოსი, არაგვის ფილტრატების — მიწისქვეშა წყაროების ბაზაზე.

1957-1960 წლებში თბილისის წყალსაცავის ბაზაზე ამუშავდა სამგორის წყალსადენი. 1960 წელს ქალაქში წყლის მიწოდებამ 327 ათას კუბურ მეტრს მიაღწია დღე-ღამეში.

მაგრამ წყალმომარაგების დონე მაინც ვერ უზრუნველყოფდა სასმელი-სამეურნეო წყლის სწრაფად მზარდ მოთხოვნილებას — იგრძნობოდა უთანაბრობა წყლის მიწოდებასა და მოხმარებას შორის.

ახალი მძლავრი წყალსადენის მშენებლობა ხანგრძლივ პერიოდს მოითხოვდა, არსებული მდგომარეობა კი გადაუდებელ ღონისძიებებს საჭიროებდა.

დამუშავდა შემოქმედებითი ტექნიკური ღონისძიებანი მოქმედ წყალსადენთა სიმძლავრეების გასადიდებლად. 1961 წელს წყალშემკრებ ნაგებობათა და წყალდენების ინტენსიფიკაციის გზით ქალაქმა დღე-ღამეში დამატებით 80.000 კუბური მეტრი წყალი მიიღო.

კარგი შედეგი მოგვცა ყამირის წყლების ხელოვნურად გამდიდრებამ — საგრძნობლად გაიზიდა წყაროების მუდმივი დებეტი.

1962-1963 წლებში განხორციელდა სამუშაოები ნატახტარის „ნარჩი“ წყაროების ასათვისებლად, ჩატარდა რეკონსტრუქცია-გაფართოება ბულაჩაურის წყალსადენის სათავე-ნაგებობისა, რის შედეგადაც გაორკეცდა ამ წყალსადენების სიმძლავრე.

1964-1966 წლებში დამატებითი წყაროები იქნა ათვისებული საგურამოს წყალსადენის სათავე-ნაგებობებზე. მოეწყო დამატე-

პირველ აგვისტოს შესრულდა 40 წელი, რაც თბილისმა პირველად მიიღო ნატახტარის წყალი. გბეჭდავთ თბილისის წყალსადენ-კანალიზაციის საწარმოო სამმართველოს უფროსის მოადგილის, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის ვლადიმერ ბახტაძის წერილს.

წერილში სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად, რაც უკანასკნელი 50 წლის მანძილზე გაკეთდა საქართველოს დედაქალაქის ერთ-ერთი უმთავრესი სასიცოცხლო ელემენტით შომარაგების საქმეში, ნათლად არის ნაჩვენები ის უპირატესობა, რაც თბილისს გააჩნია და რაც კიდევ ერთი დადასტურებაა საბჭოთა კავშირის სინამდვილეში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის თანასწორუფლებიანი არსებობისა.

ცოტა რამ ავტორის შესახებ: ვლადიმერ ბახტაძე დაიბადა 1912 წელს. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1941-1946 წლებში იყო სამხედრო ინჟინერი. 1964 წელს მიიღო საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის წოდება. წლეულს, 18 ივლისს შესრულდა 42 წელი, რაც იგი ერთგულად ემსახურება საყვარელ საქმეს — თბილისელი მშრომელების საუკეთესო წყლით უზრუნველყოფას.




პირველი ჰაბურღილი სოფელ წილკანში





ღრმაღელის რეზერვუარის მშენებლობაზე. 1937 წელი.

...ვაქვს, რა გვექნება!



...ო სადისპეტჩერო პულტის ტექნიკური ზედამხედველი (მარცხნივ) იონა კვანტალიანი, ...მანქანე გიორგი ალხანაშვილი და უფროსი ენერგეტიკოსი რომან თათარაშვილი.

ბითი წყალშემკრები ნაგებობები არაგვის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე ჭოპორტ-მისაქციელთან. მოპოვებული წყლის ქალაქში მისაყვანად აშენდა მძლავრი სატუმბო სადგური საგურამოში და 1200 მილიმეტრი დიამეტრის ფოლადის მილების საწნეო წყალდენი საგურამოდან თბილისამდე.

ამ ღონისძიებათა შედეგად 1967-1970 წლებში ქალაქს საშუალოდ წლიურად დღე-ღამეში კიდევ 40.000 კუბური მეტრი დამატებითი წყალი მიეცა.

1971-1973 წლებში გაფართოვდა და გარდაიქმნა სამგორის წყალსადენის საფილტრო სადგური, გაუმჯობესდა წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესები. ამან გააორკეცა სადგურის წარმადობა. ჩატარდა დამატებითი სამუშაოები არაგვის ხეობის წყალსადენების სიმძლავრეთა შემდგომ გასადიდებლად და შესაბამისად წყალსადენების ინტენსიფიკაცია.

ყველა ამ ღონისძიებამ საშუალება მოგვცა დღეისათვის წყლის მოწოდება აგვეყვანა 750.000 კუბურ მეტრამდე დღე-ღამეში, რაც შეადგენს ერთ სულ მოსახლეზე დღე-ღამეში მრეწველობისა და ორგანიზაციების ჩათვლით 750 ლიტრ კომპლექსურ ხარჯს, ხოლო ერთ სულ მცხოვრებზე უშუალო მოხმარებისათვის 342 ლიტრს დღე-ღამეში.

და თუ 1965 წლის მონაცემებით საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ზოგიერთი ქალაქის წყლის კომპლექსური ხარჯი ერთ სულ მოსახლეზე დღე-ღამეში შემდეგ სურათს იძლეოდა, მოსკოვი — 510, ლენინგრადი — 515, კიევი — 498, ტაშკენტი — 515, ბაქო — 412, ხარკოვი — 302, გორკი — 210, კუიბიშევი — 310, ყაზანი — 212, პერმი — 216, მინსკი — 250, ომსკი — 362, ოდესა — 432, ერევანი — 488, რიგა — 255, კიშინიოვი — 340, ბარსელონა — 274, პარიზი — 330, ლონდონი — 263, ბრიუსელი — 369, ვენა — 167, სტოკჰოლმი — 250, ნიუ-იორკი — 619 (ცნობები მსოფლიოს ქალაქების შესახებ აღებულია 1960 წლის მდგომარეობით), თბილისისათვის ეს ციფრი 544 ლიტრს უტოლდებოდა. ერთ სულ მოსახლეზე უშუალო მოხმარების წყლის ხარჯი ამგვარ სურათს იძლევა — მოსკოვი — 239, ლენინგრადი — 228, კიევი — 237, ტაშკენტი — 136, ბაქო — 160, ხარკოვი — 130, გორკი — 135, კუიბიშევი — 193, ყაზანი — 99, პერმი — 115, მინსკი — 146, ომსკი — 112, ოდესა — 193, ერევანი — 181, რიგა — 145, კიშინიოვი — 142, თბილისი — 252 ლიტრი დღე-ღამეში, ხოლო დღეისათვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 342 ლიტრია დღე-ღამეში. ამ მონაცემებით ნათლად ჩანს, რომ თბილისს უკავია ერთ-ერთი პირველი ადგილი საბჭოთა კავშირის ქალაქებს შორის.

ქალაქის ყველა საცხოვრებელ სახლში, ერთბინიანი ინდივიდუალური სახლების ჩათვლით, მოწყობილია წყალსადენი. მცხოვრებთა 60 პროცენტი უზრუნველყოფილია ცენტრალიზებული ცხელწყალმომარაგებით.

1921 წელთან შედარებით ქალაქში მოწოდებული წყლის რაოდენობა დღე-ღამეში გაიზარდა 52-ჯერ, ხოლო წყლის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე — 12 ჯერ.

სასმელი-სამეურნეო წყლის ხარჯის ესოდენ დიდი რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორთაგანია ჩვენი ქალაქის მკვიდრთა მატერიალურ-კულტურული ცხოვრების დონისა.

თუ წინათ შრომის ენთუზიასტები ხელით, პრიმიტიული საშუალებებით, ხარ-კამეჩებით ეჭიდებოდნენ უზარმაზარ საქმეს, დღეს ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილობაა მათ განკარგულებაში. რამდენი რამ აკავშირებს ამ გრანდიოზულ მშენებლობასთან ყოფილ ბრიგადირს სამსონ დაბრუნდაშვილს, დღეს რომ ოსტატად მუშაობს, სანდრო ქელეპტრიშვილს, 82 წლის მუხლჩაუკეცელ და მკლავმოუღლელ უფროს ოსტატს, მიხეილ ფალავანდიშვილს, ლენინის ორდენოსან ვლადიმერ აბრამიშვილს, ნატახტარის პირველი რიგის სამუშაოთა მწარმოებელს დიმიტრი ცქიტიშვილს და სხვებს. თავიანთ საქმეს პირნათლად, ვაჟკაცურად ემსახურებიან ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები — უფროსი მექანიკოსი გურამ ხუბაშვილი, ზეინკალთა ბრიგადირი გიგო ზარნაძე, ზეინკლები ზაურ აბულაძე, სოლომონ კენკიშვილი და სხვანი.

თბილისში გაშლილი გიგანტური მასშტაბის საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, ჯანმრთელობის დაცვის, სამრეწველო ობიექტების გაფართოების მშენებლობებმა დღის წესრიგში დააყენეს თბილისისათვის ახალი მძლავრი წყალსადენის მშენებლობის აუცილებლობა, რომელიც შენდება ჟინვალში, ჟინვალის ჰიდროკომპლექსის ბაზაზე. იქ, სადაც თეთრი და შავი არაგვი ერთმანეთს ერთვის, დარეგულირდება არაგვის ზედაპირული ჩამონადენი, შეიქმნება 550 მილიონი კუბური მეტრის ტევადობის წყალსაცავი, რომლის ბაზაზე ამუშავდება ჰიდროელექტროსადგური. მოირწყვება მნიშვნელოვანი მიწის ფართობი და გადაიჭრება საკითხი თბილისის პერსპექტიული წყალმომარაგებისა.

ვლადიმერ ბახტაძე,
თბილისის წყალსადენ-კანალიზაციის საწარმოო სამმართველოს უფროსის მოადგილე, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი.

ციფრები და ფაქტები

1921 წელს თბილისი დღე-ღამეში 14 ათას კუბურ მეტრ წყალს იღებდა.

დღეს თბილისი დღე-ღამეში 750 ათას კუბურ მეტრ წყალს იღებს.

1921 წელს თბილისის ერთ სულ მოსახლეზე დღე-ღამეში 28 ლიტრი წყალი იხარჯებოდა. თბილისში სადღეისოდ ერთ სულ მოსახლეზე მოდის 342 ლიტრი წყალი.

1921 წელთან შედარებით ქალაქში მოწოდებული წყლის რაოდენობა ორმოცდათორმეტჯერ გაიზარდა, ხოლო წყლის სადღეღამისო მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე თორმეტჯერ არის გაზრდილი.




...ოლკანო...



საგურამოს წყალსაქაჩი სადგური დღეს.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო



საგურამოს წყალსადენის დღევანდელი სამიჯნე კამერა.



მილების ჩაწყობა საგურამოს ახალ წყალსადენში.

ვის საქართველო გულით უყვარდა

ხაჩატურ აბოვიანი



ხაჩატურ აბოვიანი

სხვათა დახმარებით ათავისუფლებენ აღმოსავლეთ სომხეთს — 1827 წლის კამპანიის დამთავრების გამო გენერალ პასკევიჩის ბრძანებაში ქართული შენაერთები ნახსენებია, როგორც „რუსეთის ძლევამოსილი ჯარების მამაცი თანამებრძოლები“.

აბოვიანს თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე არაფერი გახარებია ისე, როგორც სამშობლოს განთავისუფლება, რასაც, მისი ღრმა რწმენით, დასაბამი უნდა მიეცა ეროვნული აღორძინების ხანისათვის. ამიტომაც კიდევ უფრო განუმტკიცდა სასწავლებლად გამგზავრების სურვილი.

1829 წელს სომხეთში ჩავიდა დორპატის უნივერსიტეტის პროფესორი პაროტი, რომელსაც არარატზე ასვლა სურდა. აბოვიანი თარჯიმნად ეახლა მას. როცა პროფესორმა პაროტმა შეიტყო, რომ ამ ჭაბუკს მგზნებარედ სურდა სწავლა, დაჰპირდა, დაეხმარებოდა ამ კეთილშობილი მიზნის მიღწევაში. 1830 წელს აბოვიანი გაემგზავრა დორპატში, სადაც ექვსი წელიწადი დაჰყო. აქ მას შესაძლებლობა მიეცა ჩაბმულიყო რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შეეთვისებინა მოწინავე რუსული კულტურა, პუშკინისა და გოგოლის ხანის კულტურა, შეესწავლა დასავლეთევროპული ლიტერატურა, რუსოს, გოეთეს, შილერის ნაწარმოებები.

სწორედ აქ იჩინა თავი მისმა მგზნებარებამ, დიდმა ნიჭმა, სწავლის დაუცხრომელმა წყურვილმა, ნებისყოფამ. ეს თვისებები დაეხმარა მას შეევსო ხარვეზი განათლებაში, დაუფლებოდა რუსულ ენას, საფუძვლიანად შეესწავლა გერმანული. საზოგადოებრივ მეცნიერებებთან ერთად სწავლობს სახუნებისმეტყველო დარგებს, შემოიარა დორპატის ირგვლივ მდებარე ფერმები, შეისწავლა სახალხო მეურნეობის საკითხები.

შეუძლებელი იყო დროის მოწინავე იდეებსა და რევოლუციურ მოძრაობას ღრმა გავლენა არ მოეხდინა ახალგაზრდა მოღვაწეზე. მართალია, საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ ოთხმა ათეულმა წელიწადმა განვლო, მაგრამ თანასწორობის, თავისუფლებისა და ძმობის იდეები კვლავ აღელვებდნენ ადამიანებს. ეს იდეები ძალას აძლევდნენ აბოვიანს.

1836 წელს აბოვიანი დაუბრუნდა თბილისს, სადაც ახალი სომხური ლიტერატურა იქმნებოდა. იგი თბილისის სამაზრო სასწავლებლის შტატის ზედამხედველის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნეს. მან საკუთარი პანსიონიც გახსნა.

სასწავლებელსა და პანსიონში სომხებთან ერთად სწავლობდნენ ქართველები და აზერბაიჯანელები, რაც ახარებდა და სულიერ ძალას მატებდა მას. აბოვიანს თავისი მოწაფეები დაჰყავდა თბილისის ბაღებსა და სანახებში. ხშირად იქ აშეცადინებდა, უხსნიდა ბუნების მოვლენებს. თვითონაც ძალიან უყვარდა მტკვრის პირას ხეტიალი, უყვარდა ხალხურ დღეობებზე სიარული. აინტერესებდა ხალხური თქმულებანი, საეკლესიო დღეობები, უსმენდა ხალხურ მთქმელებს და ყოველივე ეს უხვად აძლევდა მასალას თავისი თხზულებებისათვის. მას თითქმის განუყრელად ახლდნენ თან საყვარელი მოწაფეები და მეუღლე ემილია — თბილისის „გერმანული კოლონიის“ მცხოვრები გერმანელი ქალი, რომელიც 1839 წელს შეირთო.

აბოვიანის ქართველ ნაცნობებსა და მოწაფეებს შორის ცნობილი არიან მის პანსიონში ქართული ენის მასწავლებელი ზაქარია მჭედლიშვილი, იოსებ შუბალაშვილი, რომელიც ცნობილია ქალაქ ვერონის შესახებ კომენტარებით, რაც დართული ჰქონდა „რომეო და ჯულიეტას“ ქართულ თარგმანს („ცისკარი“ 1859 წელი, № 5-6), ივანე კერესელიძე, რომელიც ორ წელიწადს სწავლობდა აბოვიანის პანსიონში, შემდეგ კი „ცისკრის“ რედაქტორი იყო, გიორგი თუ გრიგოლ ბარათაშვილი, აგრეთვე ილია ბარათაშვილი, რომლებიც სომეხი განმანათლებლის მოწაფეები იყვნენ სასწავლებელში, შემდეგ კი „ცისკარში“ თანამშრომლობდნენ, სტეფანე მელიქიშვილი — სტამბის მფლობელი თბილისში და სხვანი.

ახალი სომხური ლიტერატურის ფუძემდებელმა თბილისში დაწერა თავისი ცნობილი ნაწარმოებები — „სომხეთის ჭრილობა“, „თურქი ქალი“, მოთხრობა ერეკლე მეორის ცხოვრების შესახებ. თავისი ნაწარმოებები მიუძღვნა მთაწმინდას, ლურჯ მონასტერს, ხოჯევანქსა და სხვა. ეს ნაწარმოებები ბევრ საინტერესო მონაცემს შეიცავენ თბილისისა და ქართული სინამდვილის შესახებ.

თბილისში იგი დაუახლოვდა ცნობილ აზერბაიჯანელ მოღვაწეებს მირზა შაფისა და მირზა ფათალი ახუნდოვს.


აბოვიანმა თბილისში დაიწყო მოღვაწეობა, რათა ხორცი შეესხა თავისი სამშობლოს უანგარო სამსახურის ოცნებისათვის, მაგრამ მას მალე დევნა დაუწყეს რეაქციულმა ელემენტებმა და ეკლესიამ, ჩამორჩენილმა მასწავლებლებმა, მეფის მოხელეებმა. მეფის ნაცვალმა აბოვიანი თანამდებობიდან გაათავისუფლა და 1843 წელს იმავე თანამდებობაზე დანიშნა ერევანში.

დევნა არც ერევანში შეწყვეტილა, მაგრამ აბოვიანი განაგრძობდა ბრძოლას ახალი, ხალხური ენისათვის, ახალი ლიტერატურისათვის, ახალი პედაგოგიკისათვის. როგორც თბილისში, ისე ერევანში ერთადერთ სიხარულს ანიჭებდნენ მოწაფეები. და აი 1848 წელს აბოვიანს ეს ერთადერთი ნუგეშიც წაართვეს. — იგი გაათავისუფლეს ერევნის სკოლის ზედამხედველის თანამდებობიდან. 1848 წლის 2 აპრილს (ძველი სტილით) დილაადრიან გავიდა შინიდან. და უკან აღარ დაბრუნებულა...

ხაჩატურ აბოვიანმა დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. უწინარეს ყოვლისა, ეს არის მისი შედევრი „სომხეთის ჭრილობა“ — პირველი სომხური რომანი, რომელმაც ხოტბა შეასხა აღმოსავლეთ სომხეთის განთავისუფლებას, გასული საუკუნის 20-იანი წლების სომხეთის ცხოვრების თავისებური ენციკლოპედია. აბოვიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა — ეს არის მისი მოთხრობები, დღიურები, ნარკვევები, ნოველები, ლექსები, პოემები, ელეგიები, ოდები, დრამა, არაკები და სხვა. სომხურ ლიტერატურაში ძან ჩაუყარა საფუძველი ბევრ ჟანრს, რეალიზმსა და რომანტიზმს. მან გადაწყვიტა შეექმნა ახალი ხალხური სომხური ლიტერატურა. სალიტერატურო ენად გადაექცია სალაპარაკო ხალხური ენა, შეექმნა ახალი პედაგოგიკა და კიდეც მიაღწია მიზანს. მან შემოიყვანა ლიტერატურაში ახალი გმირი — გლეხკაცი, მშრომელი ადამიანი. დიდი მწერალი, განმანათლებელი, ფილოსოფოსი და პედაგოგი ავითარებდა დემოკრატიზმის, განმანათლებლობის, ხალხთა მეგობრობის, თავისუფლებისა და პატრიოტიზმის იდეებს.

ხაჩატურ აბოვიანი ერთი იმ ბრწყინვალე სომეხთაგანია, ვისაც საქართველო გულით უყვარდა, ვინც ორი ხალხის ძმობას ერთგულებდა.

არტაშეს მხითარიანი,
პროფესორი.



ძველი თბილისის ერთი უბანი



ქართული სიძველენი უნგრეთში

უნგრეთ-საქართველოს კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობას შორეულ წარსულში აქვს ფესვები გადგმული. გასული საუკუნის მიწურულსა და ჩვენი საუკუნის დასაწყისში იგი ახალ სიმაღლეზე აიყვანეს ორმა დიდმა უნგრელმა — მიხაი ზიჩიმ და ბელა ვიკარმა. ზიჩის მიერ დასურათებული „ვეფხისტყაოსანი“ ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა, ხოლო რუსთაველის პოემის ვიკარისეული სრული უნგრული თარგმანი ერთერთი პირველი იყო მსოფლიოში, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი ჩვენს ეროვნულ გენიას თავისი კუთვნილი ადგილი დაეკავებინა საკაცობრიო კულტურის ისტორიაში.

უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობამ სრულიად ახლებური მნიშვნელობა შეიძინა ჩვენს დროში, ხალხთა შორის სოციალისტური თანამეგობრობის აყვავების ეპოქაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს ბუდაპეშტში შექმნილია ერთ-ერთი ძლიერი ქართველოლოგიური სკოლა. ლაიოშ ტარდი მუშაობს უნგრეთ-საქართველოს ისტორიის საკითხებზე, მარტონ იშტვანოვიჩი — ეთნოგრაფიასა და ფოლკლორში, ერუებეტ ტომპოში — ქართული ხელოვნების ისტორიაში, მარგიტ ბირო — წუაროთმცოდნეობაში, გაბორ ტოლნაი — ქართული სტამბის ისტორიაში, ხოლო დიერდ რადო — უნგრეთ-საქართველოს ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხებს ამუშავებს. საგულისხმოა, რომ ბევრ მათგანს ასპირანტურის კურსი თბილისში აქვს გავლილი პროფესორების გიორგი ჩუბინაშვილის, ვახტანგ ბერიძის, ქსენია სიხარულიძისა და თამაზ გამყრელიძის ხელმძღვანელობით, ფლობენ ქართულს. ბუდაპეშტის უნივერსიტეტში იკითხება ქართული ენის კურსი — სპეციალურ ჯგუფში სწავლობენ ქართულ ენას.

ცნობილმა უნგრულმა გამომცემლობამ „კორვინამ“ ბუდაპეშტში გამოსცა ერუებეტ ტომპოშის შესანიშნავად დასურათებული წიგნი „საქართველო“, რაც ქართველოლოგიური მეცნიერების ძვირფასი შენაძენია.

წიგნის ავტორი — ერუებეტ ტომპოში ქართული ხელოვნების ღრმა მცოდნე და მისი დაუღალავი პროპაგანდისტია. იგი 8 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში, რომ უფრო კარგად ჩასწვდომოდა ჩვენი ძველი ხელოვნების საიდუმლოებას. შედეგმაც არ დააყოვნა — მისი წიგნი „საქართველო“ ამისი უტყუარი საბუთია. მასში წარმოდგენილია ჩვენი დიდებული ხუროთმოძღვრების ძეგლები, ფრესკული მხატვრობა, ქართულ ხელნაწერთა შემკულობანი... წიგნი გამოიცა უნგრულ ენაზე. უახლოეს ხანში გამოვა ინგლისურ და გერმანულ ენებზეც.

გარდა ქართველოლოგიური მუშაობისა, უნგრეთი მდიდარია ქართული სიძველეებით, ჩვენი მატერიალური და სულიერი კულტურის ძვირფასი ნაშთებით. ცნობილია, რომ გაანთქმულმა უნგრელმა არქეოლოგმა და მეცენატმა ევგენი ზიჩიმ მე-19 საუკუნის 90-იან წლებში ორჯერ მოაწყო სამეცნიერო ექსპედიცია კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში. მას აქ, სხვათა შორის, იზიდავდა ლამაზი ლეგენდა, რომლის მიხედვით, ზიჩები ციციშვილების შთამომავლობისანი არიან... მოგზაურობის დროს ევგენი ზიჩის შეუგროვებია მდიდარი კოლექცია, რომელიც დღეს უნგრეთის მუზეუმთა განძად ითვლება. საგულისხმო ქართული მასალები უნდა ყოფილიყო ვიკარის, მიხაი ზიჩისა და დეჩის კოლექციებში. ამიტომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა გადაწყვიტა მოეწყო სამეცნიერო ექსპედიცია ფილოლოგის, არქეოლოგის, ხელოვნებათმცოდნისა და ეთნოგრაფის შემადგენლობით უნგრეთში დაცული ქართული სიძველეების გამოვლინებისა და მეცნიერული შესწავლისათვის. ექსპედიციაში შევიდნენ პროფესორი ალექსანდრე კალანდაძე (არქეოლოგი), ხელოვნებათმცოდნე — რუსუდან ყენია, ეთნოგრაფი — გივი ჯავახიშვილი და მე, როგორც ფილოლოგი.

უნგრეთში გავემგზავრეთ 25 აპრილს. სამუშაოდ გვქონდა ერთი თვე.

უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიამ მუშაობის შესანიშნავი პირობები შეგვიქმნა. მზრუნველობას არ გვაკლებდა საბჭოთა საელჩო, კერძოდ საელჩოს მდივნები ვლადიმერ კუცენკო და თეიმურაზ ჩიქოვანი. ექსპედიციის მიმართ დიდ ინტერესს იჩენდა უნგრეთის რადიო, პრესა. კერძოდ, მე მომიხდა რადიოთი გამოსვლა, ხოლო გაზეთმა „ქისალფოლდმა“ დაბეჭდა ინტერვიუ ჩვენი ექსპედიციის წევრებთან.

ვმუშაობდით ბუდაპეშტის მუზეუმებსა და არქივებში, აგრეთვე სოფელ ზალაში მიხაი ზიჩის სახლ-მუზეუმში. აღმოჩნდა 800-მდე ქართული არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნივთი... ადგილზე მოვახდინეთ მათი სრული აღწერილობა და მეცნიერული დახასიათება, საქართველოში ჩამოვიტანეთ ყველა მათგანის ფოტოპირი და ვაგრძელებთ მათ ამომწურავ შესწავლა-დამუშავებას. ბელა ვიკარის არქივში მივაკვლიეთ ქართულ საბუთებს, რომლებიც ახლებურად აშუქებენ „ვეფხისტყაოსნის“ ვიკარისეული თარგმანის ისტორიას. გარდა ცისკარაულისა და წერეთლისა, გამოჩნდნენ სხვა ქართველებიც, რომლებიც ეხმარებოდნენ ბელა ვიკარს ქართულის შესწავლაში, რუსთაველის თარგმნაში. ესენია: ხიჭინავა, გიორგი კალანდაძე, ბარკალაია, დავით საჯაია, ირაკლი მუკბანიანი... ვნახეთ ეთნოგრაფიული მასალები, ვიკარის ქართული ჩანაწერები, არპად შემპლენის რეცენზიის ფრაგმენტები „ვეფხისტყაოსანზე“...

უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიაში მოგვიწყეს გულთბილი შეხვედრა. უნგრელი მეცნიერები გამოთქვამდნენ სურვილს საბჭოთა მეცნიერებთან კონტაქტებისა და თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერების აუცილებლობაზე. ჩვენ გვწამს, რომ ეს მართლაც ასე მოხდება.

გურამ შარაძე

ხვალ ფიზკულტურელის საკავშირო დღეა!

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე პასუხობს ჩვენი კორესპონდენტის რევაზ მაჭავარიანის შეკითხვებს.



თბილისის სპორტის სასახლე



ჰადრაკის დედოფალი — ნონა გაფრინდაშვილი



სიჰაბუკის ზემი

● საქართველოს სპორტულ რესპუბლიკას უწოდებენ, რამ განაპირობა ესოდენ მაღალი შეფასება?

დავიწყოთ იმით, რომ საქართველოს ფიზკულტურულ ორგანიზაციას წლეულს მეთოთხმეტედ გადაეცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

საქართველოში ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა რიცხვი მილიონ ორასიათასს აჭარბებს. ჩვენს რესპუბლიკაში ამჟამად ახზე მეტი სპორტის დამსახურებული ოსტატია, სამიათასზე მეტი სპორტის ოსტატი, ექვს ათეულზე მეტი დამსახურებული მწვრთნელი, 820 საერთაშორისო და საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

სპორტსმენთა განკარგულებაშია 100-ზე მეტი სტადიონი, ცხრაასი სახპორტო დარბაზი, რამდენიმე ათეული საცურავი აუზი, ნიჩბოსნობის 15 სადგური და 12 ათასამდე მარჯვების მოტანა მხოლოდ და მხოლოდ სპორტის მასობრიობასა და ბაზების ხიმრავლეს შეუძლია. ამ მხრივ ჩვენში ბევრი კეთდება და ბევრიც გაკეთდება. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: თბილისში მიმდინარეობს „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქცია, ბაკურიანში შენდება ზამთრის სპორტული ბაზები, სადაც საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა ჩატარდება, დედაქალაქის სპორტსმენები მიიღებენ ზამთრის მძლეოსნურ მანეჟს... სპორტული ბაზები შენდება ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა დიდ ქალაქსა და რაიონულ ცენტრში, დაბასა და სოფელში.

● რა წარმატებები ჰქონდათ წლეულს ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებს?

1973 წელს მოპოვებულ გამარჯვებებს შორის უნდა აღინიშნოს, ძალოსნის დიტო შანიძის, მოჭიდავეების — ესტატე მორჩილაძის, ლევან თედიაშვილის, მძლეოსნების — ანატოლ მოშიაშვილის, ვიქტორ სანეევის, ველოსიპედისტების — ომარ ფხაკაძის, ჩოგბურთელების ალექსანდრე მეტრეველისა და თეიმურაზ კაკულიას ბრწყინვალე გამარჯვებები. ქართულ სპორტს დიდება შემატა ჩვენი ახალგაზრდა ფალავნების გამოსვლამ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

სპორტული 1973 წელი გადამწყვეტ ფაზაში უკვე შედის, უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი სპორტსმენები კიდევ მრავალგზის გვასახელებენ.

● ქართველ სპორტსმენებს საერთაშორისო შეხვედრების დიდი ტრადიცია გააჩნიათ, როგორია ამ მხრივ 1973 წელი?

წელს თბილისში უკვე გაიმართა რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრა — ჩვენთან იყვნენ მსოფლიოს უძლიერესი სიმაღლეზე მხტომელები და მოჭიდავეები. ჰადრაკის



ჰიდაობას რა უნდა...



საბჭოთა კავშირის მრთ-მრთი შძლიერესი ტანმოვარჯიშე რუსუდან სიხარულიძე

სპორტული რესპუბლიკა

სხვადასხვა სპორტული მოედანი. სპორტსმენთა აღზრდას ემსახურებიან უმაღლესი სასწავლებლები და ფიზკულტურის ინსტიტუტი, რომელიც თავისი შესაძლებლობებით ერთ-ერთი მოწინავეა საბჭოთა კავშირში, უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლები.

ნათქვამია — ნოყიერ ნიადაგზე ნოყიერი თესლი აღმოცენდებაო. ამ უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ორმოცმა ქართველმა სპორტსმენმა მოიპოვა ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონის სახელი, ხოლო ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი 1.500 კაცს უმშვენებს მკერდს. სპორტულ სამყაროში კარგად იცნობენ ნინო დუმბაძესა და კობა წაქაძეს, ელენე გოცელსა და მზია ჯუღელს, ნონა გაფრინდაშვილსა და რომან რურუას, ნანა ალექსანდრიასა და გივი კარტოზიას, მიხეილ მესხსა და სლავა მეტრეველს, თინათინ ლეკვეიშვილსა და ალექსანდრე მეტრეველს, ვახტანგ ბალავაძესა და ომარ ფხაკაძეს, მურთაზ ხურცილავას და რევაზ ძოძუაშვილს... ყველას ჩამოთვლა შეუძლებელიცაა.

აი რატომ ჰქვია საქართველოს სპორტული რესპუბლიკა!

● როგორია ქართული სპორტის ხვალინდელი დღე?

არა მგონია რაიმე ახალი ვთქვა, თუ ვიტყვი, რომ წლიდან წლამდე ძნელი ხდება გერჭვას საბჭოთა კავშირისა თუ მსოფლიო ჩემპიონი, კონკურსი ძალზე დიდია და გაუნიკალური, დიდებული სახახლე მასპინძლობდა მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკე ქალებს... ქართველი სპორტსმენები თავის მხრივ იყვნენ იაპონიასა და ბულგარეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და რუმინეთში...

სულ მალე თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები ეწვევიან ესპანეთს, მოჭიდავეები — უნგრეთს, მოჭადრაკე ქალები — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას...

● ფეხბურთის გულშემატკივრები გაინცდიან — რატომ თამაშობს არასტაბილურად თბილისის „დინამო“?

დინამო დღეს ახალგაზრდული კოლექტივია, რომელსაც ყოველთვის ერთნაირი კარგი თამაშის ჩვენება უჭირს, წამყვან მოთამაშეთა ხშირი ტრავმები კი მწვრთნელებს საშუალებას არ აძლევს მინდორზე უძლიერესი შემადგენლობა გამოიყვანონ, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, შორს არ არის დღე, როცა რესპუბლიკის უძლიერესი გუნდი დაიბრუნებს თავის ხელწერას. შოთა შავგულიძის, ბორის პაიჭაძის, მიხეილ ბერძენიშვილის, გაიოზ ჯეჯელავას, ავთანდილ ღოღობერიძის, მიხეილ მესხის, გივი ჩოხელის, სლავა მეტრეველის, შოთა იამანიძის და ფეხბურთის სხვა დიდოსტატების ტრადიციებზე აღზრდილი ჭაბუკები 1973 წლის ჩემპიონატში მათთვის შესაფერ ადგილს დაიკავებენ.



ჩვენი ქვეყნის პირველი ჩოგანი ალექსანდრე მეტრეველი




საბჭოთა კავშირის ათგზის და მსოფლიოს ექსჩემპიონი ომარ ფხაკაძე



ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ვიქტორ სანეევი

ქართული მუსიკის უანგარო მოღვაწე



ქართველ პროფესიონალ მუსიკოსთა პირველი თაობის წარმომადგენელს, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, პედაგოგსა და კომპოზიტორს ნიკო შარაბიძეს დაბადებიდან 95 წელი შეუსრულდა. იგი სწავლობდა და მოღვაწეობდა გამოჩენილი კომპოზიტორების — ზაქარია ფალიაშვილის, მელიტონ ბალანჩივაძის, დიმიტრი არაყიშვილის, ვიქტორ დოლიძის, ნიკო სულხანიშვილისა და სხვების გვერდით. საუკუნეს მიღწეული მსცოვანი მუსიკოსი ქართული პროფესიული მუსიკის დაბადების, ზრდისა და განვითარების ცოცხალი მატიანეა.

ნიკო ჯერ კიდევ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ეზიარა სამუსიკო ხელოვნებას. აქ მისი გალობის მასწავლებელი იყო სახელგანთქმული მუსიკოსი, ლოტბარი ანდრია ბენაშვილი. 1897 წლიდან ნიკო შარაბიძე ჯერ თბილისის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ კი საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოების თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში განაგრძობს სწავლას კონტრაბასისტის სპეციალობაზე. იგი პირველი ქართველი კონტრაბასისტია. მალე მონაწილეობა მიიღო სასწავლებლის მიერ მოწყობილ სიმფონიური მუსიკის საღამოებში.

უფროსი ძმის — შესანიშნავი მუსიკოსისა და ლოტბარის მიხეილ შარაბიძის რჩევით, ნიკო მიემგზავრება პეტერბურგში, სადაც ოთხ წელიწადში დაამთავრა პეტერბურგის „კარის კაპელა“, მიიღო საფუძვლიანი საგუნდოსადირიჟორო, თეორიული და საკომპოზიციო განათლება და პროფესიული მუსიკალური ცოდნით აღჭურვილი დაბრუნდა სამშობლოში. თბილისში იგი შეუდგა ნაყოფიერ სამუსიკო-საგანმანათლებლო, პედაგოგიურ, საკომპოზიციო, სახოგადოებრივ მოღვაწეობას. სხვადასხვა სასწავლებლებში, უწყებებში ჩამოაყალიბა გუნდები, გამოაქვეყნა თეორიული შრომები, ჩაიწერა და დაამუშავა ეროვნული მუსიკალური ფოლკლორისა თუ საგალობლების საუკეთესო ნიმუშები.

1907 წლიდან ნიკო შარაბიძეს იწვევენ ქუთაისის ქართულ გიმნაზიასა და სასწავლებელში სიმღერა-გალობის მასწავლებლად. ქუთაისში ნიკოს გადასვლის ინიციატორი კვლავ მისი ძმა — მიხეილი გახდა, ვინაიდან იგი იქვე მოღვაწეობდა და მოსინჯული ჰქონდა ნიადაგი ქუთაისში დიდი საქალაქო გუნდის დასაარსებლად. ძმების ენერგიული მეცნიატური ჩანაფიქრი აღსრულდა — ქუთათურებმა სულ მალე მოუსმინეს ძმები შარაბიძეების ქალ-ვაჟთა შერეულ კაპელას. აღსანიშნავია, რომ ამ გუნდის რეპერტუარში შესანიშნავად ჟღერდა მსოფლიოს გამოჩენილ კომპოზიტორთა საგუნდო ქმნილებები თუ ცალკეული სცენები ოპერებიდან. 1908 წელს ქუთაისში დიდი ზეიმით აღინიშნა ერის დიდი მგოსნის აკაკი წერეთლის ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლისთავი. ამ საღამო-ზეიმის მშენებლობა იყო ძმები შარაბიძეების გუნდი, რომლის რეპერტუარში აჟღერდა აკაკის ტექსტზე სპეციალურად მომზადებული საგუნდო თუ სოლო სიმღერები, რამაც დიდი მგოსნის უსაზღვრო სიხარული გამოიწვია.

1917-1926 წლებში ნიკო შარაბიძე აქვეყნებს თავის საბავშვო და საგუნდო სიმღერების კრებულს. იმ დროს პოპულარობით სრულდებოდა მისი სიმღერები: „დაჰკარ, დაჰკარ“, „განთიადი“ „მჭედელი“, „თავისუფლება“, „ბრძოლის მარში“...

1921 წლიდან ნიკო შარაბიძე საბოლოოდ ბრუნდება თბილისში. მას იწვევენ სახელმწიფო კონსერვატორიაში თეორიული საგნების პედაგოგად. პარალელურად მოღვაწეობს კონსერვატორიის საოპერო სტუდიის მთავარ ქორმეისტერად, სამუსიკო სასწავლებლებში პედაგოგად, აყალიბებს გუნდებს სხვადასხვა ორგანიზაციებში და ვინ მოსთვლის, რამდენ სასიკეთო საქმეს მისწვდა მისი მზრუნველი და მადლიანი ხელი. მას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის თბილისში პირველი სახელმწიფო კაპელის ჩამოყალიბებასა და მის მხატვრულ დაოსტატებაში.

ნიკო შარაბიძემ ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის კონსერვატორიაში აღმზრდელ პედაგოგად 1958 წლამდე იმუშავა. ამ წელს იგი საკუთარი სურვილით გაიცილეს პენსიაზე.

დაბადების 95 წლისთავზე ნიკო შარაბიძემ ასობით მისალოცი დეპეშა თუ წერილი მიიღო თავის ყოფილი მოწაფეებისაგან. წერილებსა და დეპეშებს ხელს აწერდნენ აგრ. აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი, აკადემიკოსები აკაკი შანიძე, კონსტანტინე გამსახურდია, კონსტანტინე ერისთავი, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი წერეთელი, ირაკლი ბიქელაძე, დავით ლორთქიფანიძე, კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენტი და მრავალი სხვანი.

მსცოვან კოლეგას დღეგრძელობას უსურვებენ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი, ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის კონსერვატორია, სსრკ კომპოზიტორთა კავშირის სამდივნო და სხვა შემოქმედებითი ორგანიზაციები.

დღეგრძელმა იყოს მსცოვანი ამაგდარი!

სოლომონ ლაფაური,
ნიკოლოზ გვეტაძე.

სურათზე: ნიკო შარაბიძე შვილიშვილებით და შვილთა შვილიშვილებით.

ამსკოვში, შამაღლესი დიპლომატიური სკოლის მიმღებმა კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ სახელოვანი საბჭოთა დიპლომატები, ერთ ქართველს უარი უთხრა სკოლაში ჩარიცხვაზე იმისათვის, რომ მან არ იცოდა ქართული ენა.

— ჩვენ მოგვწონს თქვენი ცოდნა-განათლება, უცხო ენების ბრწყინვალე დაუფლება, მაგრამ მშობლიური ენის უცოდინრად სამშობლოს მცნება რამდენადმე გაურკვეველი იქნება თქვენთვის, ჩვენ კი სამშობლოს მცნებას მტკიცედ დაუფლებული დიპლომატები გვჭირდება. დიად საბჭოთა სამშობლოს შეგნებას აქვს ერთი შეხედვით თითქოს მცირე, მაგრამ მეტად მყარი საწყისი, ურომლისოდაც მამულიშვილური სრულქმნა-სრულყოფა შეუძლებელია. ისწავლეთ ქართული და მერე მობრძანდით, — უთხრა უდანაშაულო „დამნაშავეს“ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მაშინდელმა მოადგილემ, სახელოვანმა მამულიშვილმა, აწ განსვენებულმა სერგო ქავთარაძემ.

...იმ ქართველივით უდანაშაულოა ჟაკ იპოლიტეს ძე მასხარაშვილი — პარიზელი მამით ქართველი და დედაენით ფრანგი, ორმოცდაათიოდე წლის ცისფერთვალება, ჰაღარამორეული მამაკაცი, ზღვა ენერგიით, სახარბიელო მგზნებარებით, ინტელიგენტური მოკრძალებით, სხარტი სიტყვა-პასუხითა და საქებარი ზრდილობით რომ გამოირჩევა, და რომელიც დღეს თბილისს სტუმრობს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების მოწვევით.

მამა?

აი რა გვიამბო მის შესახებ ჟაკმა.

...იპოლიტე სოხუმელია. ჭაბუკობაში, ჯერ კიდევ რევოლუციამდე მუშაობდა რუსეთის რომელიღაც სავაჭრო გემზე კაპიტნის თანაშემწედ. რევოლუციის შემდეგაც იმავე გემზე დარჩა, იგივე თანამდებობით. ის გემი 1922 წელს სოხუმიდან მარსელისაკენ გაემართა. გზაში რაღაც დაუზიანდა და მარსელამდე ძლივს მიაღწია. იქ შესაკეთებლად გაჩერდა ორიოდე თვით...

იპოლიტე ახალგაზრდა იყო, სისხლი ერჩოდა, მარსელმა და მისმა სატყუარებმა მიიზიდეს, მიიტყუეს და... ჭაბუკმა დაუკითხავად ამოჰყო თავი პარიზში. პარიზმა კიდევ უფრო მიუალერსა დასავლეთის ცივილიზაციის საცნაურებზე დაქიმიტებულ ჭაბუკს... მერე, გამოპარული კაპიტნის თანაშემწე გონს რომ მოვიდა, შეშინდა წესის დარღვევისათვის დამსჯიანო და...

პარიზშივე გაიცნო კოპწია ქალიშვილი სიუზენ კოუ, მდივნად რომ მუშაობდა რომელიღაც კანტორის პატრონთან. ცოტა ხნის შემდეგ ჟაკ მასხარაშვილიც დაიბადა ქვეყნად. იპოლიტემ კი პერსპექტივიანი კაპიტნის თანაშემწეობა ტაქსის მძღოლობაზე გაცვალა, ფრანგული შეისწავლა და პარიზის ქუჩებში დაასრიალებდა სან „რენოს“, სან „პეჟოს“, სან კიდევ „სიტროენს“. მოქალაქეობის დაკარგვა არ უნდოდა, მაგრამ 1939-40 წლებში სამხედრო კომისარიატში მოხალისედ გამოცხადდა ფაშისტებთან საბრძოლველად, ჯარში კი ისე არ გაიწვევდნენ, თუ საფრანგეთის მოქალაქე არ იქნებოდა...

სიუზენმა მდივნობას თავი დაანება, ქმრის მოვლასა და ბიჭის კეთილად აღზრდას მიუძღვნა თავისი სიცოცხლე. ჟაკი ჯერ სკოლაში მიაბარეს, მერე ლიცეუმში, ფორტეპიანოს ასწავლიდნენ, სავაჭრო სასწავლებელიც დაამთავრებინეს; ერთი რამ გამორჩათ მხოლოდ — ქართული ენა — სიუზენმა ქართული არ იცოდა, მამა დილიდან დაღამებამდე საშოვარზე იყო გასული... ზოგჯერ თუ უამობდა ხოლმე დედისერთას სამშობლოზე, სოხუმზე, შავ ზღვაზე, თავის დედასა და ერთადერთ დაზე...

გავიდა ხანი. საფრანგეთის ოკუპაციის წლებში ხანდაზმულმა მამამ ჭაბუკი ბიჭი თვალს მიაფარა, რომ ოკუპანტებს ხელი არ ეტაცათ. 20 წლის ჟაკი სამხედრო სამსახურს იხდის საფრანგეთის არმიაში. არმიიდან დაბრუნებულმა ჟაკმა ერთხანს ერთვნულ ბიბლიოთეკაში იმუშავა არქივარიუსად, მერე სამ წელიწადს კინოკრიტიკოსობდა ჟურნალ „სინემონდში“. ბოლოს თვითონ შექმნა კინოკლუბი ლუვრის მუზეუმის ფილიალთან, პარიზში, გიმეს მუზეუმში, კინომაყურებელთა ხარჯით რომ არსებობს და სადაც უჩვენებენ საბჭოთა ფილმებს. ჟაკს საქმიანობაში ეხმარება მისი მეუღლე ფრანსუაზ მასხარაშვილი, რომელიც საგულდაგულოდ ზრდის ორ პარიზელ ქართველს — ნიკოსა და ნატოს, ზრდის ფრანგულად, ისევე, როგორც მათი მამა იზრდებოდა...

მამა?

იპოლიტე ოციოდე კილომეტრის მოშორებით ცხოვრობს თავის შთამომავლებისაგან. პენსიაზეა, შაბათ-კვირას შვილიშვილებთან ერთად ზის კლუბში და საათობით უყურებს კინოს. ქართულ სურათს როცა უჩვენებენ, ბალღებს გამალებით უხსნის საქართველოს ამბებს, ისტორიასა თუ სინამდვილეს, როგორც შეუძლია, რასაკვირველია. ქართული სურათი იპოლიტესთვის საქართველოში ყოფნაა იგივე, ამიტომაც შვილიშვილები მოთმინებით იტანენ პაპის „სისუსტეს“, რის გამოც ზოგჯერ ხელსაც კი უშლის შვილიშვილებს სურათის მშვიდად ყურებაში. ბავშვებმა იციან პაპას სატკივარი...

განსაკუთრებით მოსწონებია იპოლიტეს „ქოლგა“, „ქორწილი“, „თეთრი ქარავანი“, „შეხვედრა მთაში“, „ჩვენი ეზო“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“...

— შესანიშნავად მიიღეს ქართველმა კინემატოგრაფისტებმა, თბილისის კინოსტუდიაში „არსენა“ მაჩვენეს, დიდებული ფილმია. წარმოიდგენია, როგორ ესიამოვნება მისი ნახვა მამაჩემს, — თქვა ჟაკმა ჩვენი შეხვედრის დროს.

— ქართველები თუ დადიან თქვენს კლუბში?

— თუ ყური მოჰკრეს, რომ ქართული ფილმი რამ გადის ჩვენთან, დაპატიჟებულებივით იქ გაჩნდებიან ხოლმე.

ჩვენი დარბაზი 360 კაცს იტევს, ყოველ სრულმეტრაჟიან ფილმს წინ ვურთავთ ერთ მოკლემეტრაჟიან ქრონიკას, რომელიც ხშირად არის ხოლმე ქართული. ამიტომაც მამაჩემი ჩასაფრებულივით ელოდება — როდის გამოჩნდება ეკრანზე საქართველო.

— როგორ მოსწონთ ქართული ფილმები პარიზში?

— ძალიან მოსწონთ.

— მსახიობებიდან ვის გამოარჩევდით?



ჟაკ მასხარაშვილი

— ძნელია ვინმეს გამორჩევა. ქართველებს ბევრი კარგი მსახიობი გყავთ და გამოკლებით გული არავის მინდა ვატკინო. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო „ჯარისკაცის მამა“ და სერგო ზაქარიაძის ბრწყინვალე თამაში. ამაზე, ვგონებ, არავინ გაიწყენდება, რადგან ზაქარიაძე ყველას მიერ თანაბრად არის აღიარებული.

— თანამემამულეებს თუ ხვდებით პარიზში?

— სამწუხაროდ, ცოტას. დრო არა მაქვს. კლუბში კი ხშირად მოდიან, განსაკუთრებით ქართულ ფილმებზე.

— რითა ხართ გატაცებული საქმისაგან თავისუფალ დროს?

— ცოლით, ბავშვებითა და... მუსიკით.

— ვინ არის თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ბევრი, ძალიან ბევრი — ბახი, მოცარტი, ჩაიკოვსკი, პროკოფიევი, ხაჩატურიანი...

— ქართველებიდან?

ჟაკმა იცის ქართული მუსიკა, მაგრამ კომპოზიტორების გვარები არ ახსოვს... საფრანგეთში, სამწუხაროდ, ცოტას იცნობენ ქართულ მუსიკასა და ლიტერატურას...

— რა გადავცეთ ქართველ თანამემამულეებს?

— ჩამოსულიყვნენ და საკუთარი თვალით ენახოთ დღევანდელი ჭეშმარიტად წარმტაცი საქართველოს გული თბილისი. მეორე — საქმე ისე წაეყვანოთ, რომ უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა მეორე და მოშდევნო თაობებს ქართველობა, მშობლიური ენა არ დაჰკარგოდეთ, გაერთიანებულიყვნენ რომელიღაც კულტურულ ცენტრში, სადაც ბავშვებს, მოზარდებს შეასწავლიან ქართულ ენას, ლიტერატურას, მუსიკას... თორემ ქართულს უცხოელებიც სწავლობენ და დასანანია, რომ ქართველთა შვილებმა ქართული აღარ ვიცით. ქართული ენა თაობებს ხიდად უნდა გაედოს, საქართველოსთან დამაკავშირებელ ხიდად.

— რა ბარის თქვენი ოცნება?

— მშვიდობა! რომ ჩემი ნიკოსა და ნატოს სიცოცხლე ხელუყოფელი იყოს ძალადომებისაგან, ომის ბედისწერისაგან, რომ ჩვენ შვილებს გზად ედოთ ძმობა, ერთობა და სიყვარული, რასაც ურთიერთგაგება უდევს საფუძვლად და რაც მხოლოდ ცოცხალი კონტაქტებით მყარდება. ამიტომაც მინდა, გულით მინდა, რომ საქართველოს კიდევ ვეწვიო ცოლ-შვილით.

— რას უსურვებდით საქართველოს?

— დაე, მარად იყოს ქვეყნად!

ჟაკს რომ დავშორდი და მარტო დავრჩი, დიდხანს, ძალიან დიდხანს ვიფიქრე იმათ ხვედრზე, ვინც უცხოეთში დაიბადა ქართველი მამით თუ დედით, ქართული ენა, საქართველოს წარსული, აწმყო და მომავალი ვერ ისწავლა, ვერ გაეცნობა, ვერ გაიგებს და სამშობლოსთან მარტოოდენ პაპის ან მამის თუ ბებიის ბუნდოვანი ნაამბობით და კიდევ ქვეშეცნეული პატრიოტული სულით, — თაობიდან თაობაში რომ გადადის დაუკითხავად, — იქნება დაკავშირებული, იმ მცირე, წვრილი და ჩია სიმებით, რაც ძალიან ადვილად შეიძლება დაწყვიტოს ცხოვრებისეულმა არა თუ ქარიშხალმა, არამედ მცირე ნიავმაც! ვფიქრობდი და საყვედურს კი არა, არა, გულისტკივილს ვამბობდი ჩემთვის იმ თანამემამულეთა მიმართ, ვინც ქართული იცის და არაფერს აკეთებს, იმისათვის, რომ უცხო ქვეყნებში მცხოვრებმა პატარა ქართველებმა იცოდნენ მამა-პაპის ენა ქართული, ენა შოთასი, ილიასი, აკაკისა, ვაჟასი, ენა განსწავლული, განათლებული და ამაღლებული ერისა, რომელთანაც თვითონაც სისხლხორცეულად არიან დაკავშირებულნი.

იქნებ თქვენც იფიქროთ ამაზე, თანამემამულეებო! იფიქროთ იმაზე, თუ რაოდენ ძვირფასია უცხო ხალხში, უცხო მხარეში გაგონილი ქართული სიტყვა, უცებ რომ წაშლის ადამიანთა შორის ზღვარსა და შეუდეს, დააახლოებს ადამიანს ადამიანთან, რასაკვირველია, დაუთბობს ყინვაში, ეხოდენ საცნაური რომ არის ყველასათვის, ვინც საქართველოს მოწყდა და მსოფლიოს ვეებერთელა, თვალითა და ხელით მიუწვდენელ სამყაროში დააბიჯებს იმ ადამიანთა შორის, გვისაც მათი ბედი თუ უბედობა არად ულირს, არად ეღირება, ვინც ვერასოდეს ვერც შეიყვარებს და ვერც შეიძლებს, რამეთუ იგი — სამყაროს ვეებერთელა სივრცეში გაღვივებული ქართველი — მისთვის სრულიად არაფერს ნიშნავს.

საქართველო მარად იქნება ქვეყნად, თქვენ შეინახეთ და გადაეცით თქვენებურ თაობებს მშობლიური ქართული — უპირველესი ხიდი, საქართველოსთან რომ აკავშირებს ყველა თქვენგანს!



პარიზელი ქართველები — ნიკო და ნატო.

მაღალ იყოს მოვიდოგა

რედაქტორი გივი ქარბელაშვილი

ჩვენი მისამართი: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93 68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.